არქიტექტურული კომპანია **დემარკი**

მისამართი: 0160, გ. სააკაძის დაღმართი 6, თბილისი, საქართველო. ტელ (+995 32) 219 55 12
E-mail: info@dmark.ge; Web: www.dmark.ge

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, მირზა შაფის ქუჩაზე, (საკადასტრო კოდი 01.18.04.018.067;) მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის

ღია ნაწილების განთავსებაზე

როგორც მოგეხსენებათ აღნიშნულ პროექტზე მუშაობაში ჩართული იყო ქალაქის მერია, გამოცხადებული იყო კონკურსი არქიტექტურის სამსახურის მიერ ესკიზურ პროექტირებაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო და დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ძიება ისეთი სივრცულ-არქიტექტურული გადაწყვეტისა, რომელიც მისაღები იქნებოდა პირველ რიგში როგორც ქალაქისათვის და ასევე ინვესტორისათვისაც. ინვესტორის მხრიდან გათვალისწინებული იქნა ყველა შენიშვნა-რეკომენდაცია და არქიტექტურული პროექტი შეთანხმდა წარმოდგენილი სახით. ჩვენ რა თქმა უნდა ვიფიქრეთ შენობის ღია ნაწილების განთავსებაზე მიჯნის ზონაში, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს რეკომენდაციით ღია ნაწილები +12.15 ნიშნულზე და +19.05 ნიშნულებზე ზუსტადაც დამატებული იყო შენობის ფორმის სრულყოფისათვის. როგორც გეგმარებიდან ჩანს ეს არქიტექტურული დეტალები ჩაკეტილია და არ არის გათვალისწინებული, როგორც დასასვენებელი სივრცეები, მასზე არ მოხვდება ტურისტი, დამსვენებელი და ა. შ. მხოლოდ ტექნიკური პერსონალი მოხვდება ექსპლუატაციის საჭიროებისამებრ, ისე როგორც შეიძლება მოხვდეს სახურავზე. ამგვარად ჩვენის აზრით +12.15 და +19.05 ნიშნულებზე განთავსებული ღია ნაწილები, თუ მათ განვიხილავთ, არა როგორც ტერასებს, არ საჭიროებენ მეზობელი მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი 01.18.04.018.066; 01.18.04.018.065) მესაკუთრეების თანხმობას.

პროექტის ავტორი დიმიტრი მოძმანიშვილი

რევაზ ქეშელაშვილი

შპს „დემარკ“-ის

დირექტორი,

პროექტის ავტორი ვლადიმერ აბრამიშვილი

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

ნომერი: 1757

თარიღი: 26/06/2012 წ.

ეძლევა _____
(მესაკუთრე და მისი მისამართი)

მასზედ რომ მას გადაეცა საკუთრებაში _____
(ქონების დასახელება და მისამართი)

_____
(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: ნივთის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

_____
(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N: _____

ოქმის (ხელშეკრულების) შედგენის თარიღი _____

ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის ვებ გვერდის მეშვეობით. ელექტრონულ საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობას აქვს იურიდიული ძალა აუქციონატორის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე. ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ვებ გვერდზე: www.auction.ge / www.auction.tbilisi.gov.ge



ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება)

№ E-120-4-5180

30.04.2012 ქ.თბილისი

აუქციონში გამარჯვებული პირის/ოქმის ადმინისტრაციული დაპირების მიმღები პირის მონაცემები:

დასახელება: აპოლო გ.ს. საიდენტიფიკაციო კოდი: 202430468

მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ. 29 წარმომადგენელი: თამარ ახალაძე 01008000011

აუქციონზე შეძენილი ქონების მონაცემები:

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 011804018061

უძრავი ქონების ფართი კვ.მ.: 266

მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორი, ბაახოვი, #23, მიმდებარედ, ნაკვეთი 18/061

ქონების აღწერა: საცხოვრებელი ზონა (სზ-3), ნაწილი სატრანსპორტო ზონა (ტზ-1), ნაწილი ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

ჩატარებული აუქციონის მონაცემები:

აუქციონის ჩატარების თარიღი: 30.04.2012

აუქციონის № 120 ლოტის № 4

ჩატარებული აუქციონის შესახებ ინფორმაცია:

ქონების საწყისი ფასი (1 კვ.მ): 402.00 ლარი

გაყიდული ქონების სრული საბოლოო ღირებულება: 108262.00 ლარი

აუქციონში გამარჯვებულის მიერ შემოთავაზებული ფასი (1 კვ.მ) 407.00 ლარი

აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური: 250.00 ლარი

ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობები:

შეზღუდვები: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

ვალდებულება: საპრივატიზებო თანხის გადახდა 2012 წლის 29 სექტემბრამდე.

აუქციონში გამარჯვებული პირის განცხადება:

ვცხადებ, რომ თანახმა ვარ ჩატარებული აუქციონის შედეგად ზემოთ აღნიშნული ქონების შეძენაზე. ქონების მართვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია და აუქციონის პირობები ვიცი და ვეთანხმები.

ხელმოწერა

თარიღი

E-mail: info.auction@tbilisi.gov.ge

Tel.: (+995 32) 2 378 127

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№ დ-103 „28" დეკემბერი 2010 წ.

ეძლევა შპს „აპოლო ბ.ს"-ს მის: ქ. თბილისი, მორცხულავას ქ. №3ა, ბინა №69 ს/№202430468

(მესაკუთრე და მისი მისამართი)

მასზედ, რომ მას გადაეცა საკუთრებაში მიწის ნაკვეთი მდებარე: ქ. თბილისი, მირზა შაფის ქუჩის მიმდებარედ (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით)

(ქონების დასახელება და მისამართი)

მიწის ნაკვეთის ფართობი: 105 კვ.მ;

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

01/18/04/018/054

(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 დეკემბრის №1163 განკარგულება

ოქმის (ხელშეკრულების) შედგენის თარიღი 2010 წლის 29 ოქტომბერი

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, რომელთაგან ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. მესამე ეგზემპლარი ინახება სსიპ ქონების მართვის სააგენტოში. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ძალაშია ხელშეკრულებასთან/ოქმთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ____________ ვალერიან გვათუა

(ხელმოწერის ადგილი) (სახელი, გვარი)

ქალაქ თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტო * PROPERTY MANAGEMENT AGENCY * TBILISI CITY HALL * 205296375

ნოტარიუსი 114

მეკანიკური ბეჭდის ადგილი

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№ დ-111

„ 13 " იანვარი 2011 წ.

ეძლევა შპს „აპოლო გ.ს"-ს მის: ქ. თბილისი, მირცხულავას ქ. №3ა, ბინა №69 ს/№202430468
(მესაკუთრე და მისი მისამართი)

მასზედ, რომ მას გადაეცა საკუთრებაში მიწის ნაკვეთი მდებარე: ქ. თბილისი, მირზა შაფის ქ. №26ა-სა და გააზოვის ქ. №21-ის
(ქონების დასახელება და მისამართი)
მიმდებარედ (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით)

მიწის ნაკვეთის ფართობი: 15 კვ.მ;
(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)
01/18/04/018/053
(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი: სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 დეკემბრის №1163 განკარგულება

ოქმის (ხელშეკრულების) შედგენის თარიღი 2010 წლის 29 ოქტომბრი

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, რომელთაგან ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. მესამე ეგზემპლარი ინახება სსიპ ქონების მართვის სააგენტოში. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ძალაშია ხელშეკრულებასთან/ოქმთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი _____ ვალერიან გვათუა
(ხელმოწერის ადგილი) (სახელი, გვარი)

ასლი 114

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

ნომერი: 1481

თარიღი: 05/04/2012 წ.

ეძლევა შპს აპოლო გ.ს. 202430468
(მესაკუთრე და მისი მისამართი)

მასზედ რომ მას გადაეცა საკუთრებაში ქუჩა ბააზოვი, #21, მიმდებარედ, ნაკვეთი 18/060 (შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე)
(ქონების დასახელება და მისამართი)

21 კვ/მ
(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

01.18.04.018.060
(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N: ე-98-16-4631

ოქმის (ხელშეკრულების) შედგენის თარიღი 23/02/2012

ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის ვებ გვერდის მეშვეობით. ელექტრონულ საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობას აქვს იურიდიული ძალა აუქციონატორის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე. ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ვებ გვერდზე: www.iauction.ge / www.auction.tbilisi.gov.ge

ასლი
114

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება)

23.02.2012 № E-98-16-4631 ქ.თბილისი

აუქციონში გამარჯვებული პირის/ოქმის ადმინისტრაციული დაპირების მიმღები პირის მონაცემები:

დასახელება: აპოლო გ.ს. საიდენტიფიკაციო კოდი: 202430468

მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ. 29 წარმომადგენელი: თამარ ახალაძე 01008000011

აუქციონზე შეძენილი ქონების მონაცემები:

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 011804018060

უძრავი ქონების ფართი კვ.მ.: 21

მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორი, ქუჩა ბააზოვი, #21 მიმდებარედ, ნაკვეთი 18/060

ქონების აღწერა:

ჩატარებული აუქციონის მონაცემები:

აუქციონის ჩატარების თარიღი: 23.02.2012

აუქციონის № 98 ლოტის № 16

ჩატარებული აუქციონის შესახებ ინფორმაცია:

ქონების საწყისი ფასი (1 კვ.მ): 510.00 ლარი

აუქციონში გამარჯვებულის მიერ შემოთავაზებული ფასი (1 კვ.მ) 515.00 ლარი

გაყიდული ქონების სრული საბოლოო ღირებულება: 10815.00 ლარი

აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური: 250.00 ლარი

ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობები:

ვალდებულება: საპრივატიზებო თანხის გადახდა 2012 წლის 29 სექტემბრამდე.

შეზღუდვები: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

აუქციონში გამარჯვებული პირის განცხადება:

ვაცხადებ, რომ მონაწილეობა მივიღე „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ქ.თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ მოწყობილ წინამდებარე აუქციონზე. აუქციონის შესახებ ინფორმაცია და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) პირობები ვიხილე ქ.თბილისის მერიის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე http://auction.tbilisi.gov.ge და სრულად ვეთანხმები მას.

E-mail: infoauction@tbilisi.gov.ge
Tel: (+995 32) 2 378 127

114

დანართი

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი
ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება)
პირობები

1.აუქციონის პირობები

1.1. გადახდის პირობები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ა) სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური უძრავი ქონების აუქციონში გამარჯვებული პირისთვის შეადგენს 250 ლარს, აღნიშნული თანხა გადაიხდება საპრივატიზებო თანხასთან ერთად. აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების რეგისტრაციას ახორციელებს ქონების მართვის სააგენტო. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საფასურს -50 ლარს ქონების მართვის სააგენტო იხდის მომსახურების საფასურიდან.

ბ) თუ ლოტში შედის რამდენიმე უძრავი ნივთი, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აუქციონში გამარჯვებული ამ მუხლის 1.1 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფასურთან ერთად იხდის აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასურს – 100 ლარს, ყოველ დამატებით უძრავ ნივთზე.

გ) თუ აუქციონის გზით შეძენილი ლოტის სრული/საბოლოო ღირებულების გადასახდელად მყიდველს დაჭირდა 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადა, მყიდველს შეუძლია ისარგებლოს განვადებით. განვადების საფასური შეადგენს ლოტის საწყისი ღირებულების 0,5% ყოველ დამატებით 30 კალენდარულ დღეზე. ქონების შემძენი არ იხდის განვადების პირველი 30 კალენდარული დღის საფასურს. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის მისაღებად განვადების თანხის გადახდა ხორციელდება საპრივატიზაციო თანხასთან ერთად.

დ) თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული უცხო ქვეყნის მოქალაქეა, იგი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში აუქციონატორს წარუდგინოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი, საჭიროების შემთხვევაში – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი, სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტაცია.

ე) აუქციონატორი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულ პირს აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოსთხოვოს აუქციონატორისთვის საჭირო ინფორმაციული ხასიათის ნებისმიერი სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტის წარმოდგენა."

1.2 ქონების შემძენის პასუხისმგებლობა

ა) აუქციონის შედეგები ავტომატურად უქმდება და ქონების შემძენს გადახდილი ბე არ უბრუნდება ან კარგავს საბანკო გარანტიას თუ:

ა.ა) ქონების შემძენი ოქმით განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხდის სრულ/საბოლოო თანხასა და მომსახურების საფასურს;

ა.ბ) ქონების შემძენი არ შეასრულებს აუქციონის პირობებს, თუ პირობის შესრულება სავალდებულო იყო საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემამდე განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული პუნქტი არ ვრცელდება წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობების 1 მუხლის 1.1 პუნქტის დ) და ე) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისას წარმოსადგენ დოკუმენტაციაზე."

114

ა.გ) ქონების შემძენი არ ეთანხმება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს/ აუქციონის შედეგებს;

ა.დ) ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილია არასწორი ან/და არამართლზომიერი ინფორმაცია, რის გამოც მას მიეცა აუქციონში გამარჯვების ან/და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ან/და სხვა სარგებლის მიღების შესაძლებლობა;

ბ) პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, შეძენილი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობითა და ოქმით განსაზღვრული შეზღუდვების ან/და ვალდებულებების გათვალისწინებით (აუქციონის პირობები), ვალდებულებების შესრულებაზე აუქციონატორს დაუყოვნებლივ წარუდგინოს ინფორმაცია მოთხოვნილი ფორმით;

გ) ქონების შემძენს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

დ) საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების ან სარგებლობის უფლებით გაცემის შემთხვევაში, ქონება ახალ მესაკუთრეზე/მოსარგებლეზე გადადის იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით.

ე) ახალი მესაკუთრე ვალდებულია ქონების გასხვისების შესახებ აცნობოს აუქციონატორს იმ შემთხვევაში თუ ქონება აუქციონატორის მიერ გაყიდულია გარკვეული საპრივატიზებო პირობებით.;

ე.ა) შეძენილი ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს ქონების შემძენის უფლებამონაცვლეს.

ვ) ოქმით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება აუქციონატორის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან;

ზ) ოქმით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტის "ა" პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ქონების მესაკუთრე იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ოქმით სააუქციონო პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ:

ზ.ა) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში - დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ზ.ბ) ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ლოტის საბოლოო/სრული საპრივატიზებო ღირებულების 0,05% ყოველ დარღვევაზე;

ზ.გ) წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობების 1 მუხლის 1.1 პუნქტის დ) და ე) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისას წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ლოტის საბოლოო/სრული საპრივატიზებო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით. განმეორებით შემთხვევისას აუქციონატორი უფლებამოსილია გააუქმოს აუქციონის შედეგები რა შემთხვევაშიც ქონების შემძენს გადახდილი ბე არ დაუბრუნდება ან დაკარგავს საბანკო გარანტიას.

თ) ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობისას ქალაქ თბილისის მთავრობა უფლებამოსილია დააკისროს აუქციონატორს აუქციონის შედეგებისა (ოქმის) და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაუქმება ასეთ შემთხვევაში პრივატიზებული ქონება უბრუნდება

114

გამყიდველს. ქონების შემძენს არ უსაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები;

ი) ოქმით განსაზღვრული შეზღუდვები განიხილება როგორც შეძენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა. შესაბამისად შეზღუდვების შესრულების კონტროლი არ წარმოადგენს გამყიდველის ქონების პრივატიზებისგან გამომდინარე ინტერესს;

კ) პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ღიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზებო შეზღუდვების გათვალისწინებით;

ლ) ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის ან/და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ;

მ) აუქციონში გამარჯვებულის მიერ სააუქციონო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის გამო აუქციონის შედეგების გაუქმებისას, , აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გადაიხადოს ქონების შეძენიდან შედეგების გაუქმებამდე გამოყენებული განვადების ორმაგი ოდენობა, შედეგების გაუქმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

ნ) თუ გამარჯვებული აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ შეატყობინებს აუქციონატორს. ჩაითვლება რომ იგი ეთანხმება ოქმს და აუქციონის შედეგები არ ექვემდებარება წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობების 1.2 პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტის საფუძველით ავტომატურად გაუქმებას.

ო) წინამდებარე ოქმთან (ადმინისტერაციულ დაპირებასთან) დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ქონების გამყიდველის უფლებამოვალეობები

ა)ქონების პრივატიზაციის შემდეგ ქონების გამყიდველი ვალდებულია:

ა.ა.) სათანადო პირობების არსებობისას გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა;

ა.ბ) ქონების მესაკუთრეს დაუდასტუროს სააუქციონო პირობის (ვალდებულების) შესრულება;

ა.გ) მიაწოდოს მესაკუთრეს პრივატიზებულ ქონებაზე მასთან არსებული ინფორმაცია;

ა.დ) დაიცვას და შეასრულოს ოქმითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

ბ) ქონების გამყიდველი უფლებამოსილია:

ბ.ა) მოსთხოვოს ინფორმაცია მესაკუთრეს ვალდებულებების შესრულების შესახებ;

ბ.ბ) საჭიროების შემთხვევაში ვალდებულებების შესრულების პერიოდში დაათვალიეროს პრივატიზებული საინვესტიციო ობიექტი;

ბ.გ) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მისცეს მესაკუთრეს გაფრთხილება;

ბ.დ) წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობებით და თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესით განსაზღვრულ შემთხვევაში განიხილოს აუქციონის შედეგებისა (ოქმის) და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაუქმების საკითხი;

ბ.ე) მესაკუთრეს შესთავაზოს დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის მისაღები ვადები და პირობები;

ბ.ვ) განიხილოს პრივატიზებული ქონების არასაფინანსო და არასაინვესტიციო ვალდებულებებისა და შეზღუდვების მოხსნის საკითხი;

ბ.ზ) ქონების მესაკუთრეს მოსთხოვოს ოქმით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.



3. ვალდებულებათა შესრულება

ა) ვალდებულების შესრულების ან/და შესრულების მიღება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით;

ბ) წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობების და თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის მიზნებისთვის ფინანსური ვალდებულება (თანხის სრული/საბოლოო ოდენობის ან/და სხვა თანხის გადახდა) შესრულებულად ითვლება შესაბამის ანგარიშზე თანხის გადასარიცხად საგადახდო დავალების შედგენის ან/და სხვა სათანადო დოკუმენტურად დადასტურებული ქმედების განხორციელების დღიდან;

გ) ამ პუნქტის 'ბ' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საფუძველზე, აუქციონატორი ადასტურებს ვალდებულების შესრულებას/გასცემს საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას;

დ) საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ქონების შემძენი ინფორმაციას, როგორც წესი, ადასტურებს სსიპ - ღია სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით ან/და სხვა სათანადო დოკუმენტით;

ე) იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების შესრულების შესწავლა სცილდება სსიპ -ღია სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაძლებლობების ფარგლებს ქონების შემძენი ვალდებულია წარმოადგინოს აუდიტორული/ექსპერტული დასკვნა.

4. აუქციონატორის დაპირება

ქონების შემძენის მიერ ოქმით განსაზღვრულ ვადაში შეძენილი ქონების საპრივატიზებო დირებულებისა და მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში აუქციონატორი-სსიპ - ქონების მართვის სააგენტო იღებს ვალდებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

7. დასკვნითი დებულებები

ა) ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების ელექტრონული ოქმი წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის საიტის მეშვეობით;

ბ) ელექტრონულ ოქმს აქვს იურიდიული ძალა აუქციონატორის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე.

გ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ან/და საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცნობის დღედ ჩაითვლება, შესაბამისად, ოქმის ან/და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის აუქციონატორის ინტერნეტსაიტზე განთავსების დღე.



23.12.10
18'2410+300
12.01.11 – 300.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 1163 2010 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობას მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, მირზა შაფის ქუჩის N26ა-სა და ბააზოვის ქუჩის N21-ის მიმდებარედ 15 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.18.04.018.053) და ქ. თბილისში, მირზა შაფის ქუჩის მიმდებარედ 105 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.18.04.018.054) პირდაპირი მიყიდვის შესახებ 2010 წლის 29 ოქტომბერს შპს „აპოლო გ.ს.“-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება ძალაში შევიდეს ამ განკარგულების გამოცემისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი



22.12.10

ხელშეკრულება

ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ

ქ. თბილისი 29.10.2010 წ.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, ქ. თბილისის მთავრობის 23.09.10წ. №25.20.1202 დადგენილების საფუძველზე, 2010 წლის 29 ოქტომბერს, ჩვენ, ერთის მხრივ – ქ. თბილისის მთავრობა, წარმოდგენილი **ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს** (შემდგომში „გამყიდველად" წოდებული - მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მთავარი სპეციალისტის ნინო ოსიემაშვილის სახით /პირადი №01011002404; მცხ: ქ. თბილისი, მარაბდის ქ. №25/) და მეორეს მხრივ – **შპს „აპოლო გ.ს"** (შემდგომში „მყიდველი"; საიდ. კოდი: 202430468, მისამართი: ქ. თბილისი, მირცხულავას ქ. №3ა, ბინა №69), წარმოდგენილი **თეა სტურუას** (პირადი ნომერი: 01008002583 მცხ. ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-2 კვ. მე-12 კორპ. ბინა52) სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:
(ამ ხელშეკრულების თითოეული გვერდი ხელმოწერილია მხარეთა მიერ)

მუხლი 1. ხელშეკრულების (ნასყიდობის) საგანი

1.1 ამ ხელშეკრულებით, გამყიდველი მყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მთავრობის 23.09.10წ. №25.20.1202 დადგენილებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით საკუთრებაში გადასცემს, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას:

1.2. ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. №26ა-სა და ბაახოვის ქ. №21-ის მიმდებარედ არსებულ 15 კვმ. მიწის ნაკვეთს (მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.053)

ნასყიდობის საგნის მახასიათებლებია: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.053, განცხადების რეგისტრაცია 882010791107 მომზადების თარიღი 16/09/2010, 18:26:15, ზონა თბილისი 01, სექტორი 18, კვარტალი 04, ნაკვეთი 018/053; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი: 15 კვმ. მესაკუთრე: ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული.

1.3. ქ. თბილისში, მირზა შაფის ჭუჩის მიმდებარედ არსებულ 105 კვმ. მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.054)

ნასყიდობის საგნის მახასიათებლებია: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.054, განცხადების რეგისტრაცია 882010791120 მომზადების თარიღი 16/09/2010, 18:34:16, ზონა თბილისი 01, სექტორი 18, კვარტალი 04, ნაკვეთი 018/054; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი: 105 კვმ. მესაკუთრე: ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული.

მუხლი 2. ნასყიდობის საფასური, მისი გადახდის წესი და პირობები

2.1 ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ნასყიდობის საგანი, გაიყიდა – 18 240 (თერამეტი ათას ორასორმოცი) ლარად (ნასყიდობის საფასური).

2.2 ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების საქართველოს პრეზიდენტთან შეთანმებიდან ერთი თვის ვადაში.

2.3 მყიდველის მიერ 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით –
მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის ნომერი 200122900; ბანკის კოდი 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773390.

აყა ყიფიანი

ნინო ოსიემაშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რწმუნებული
ქ. თბილისი
114

გადახდის დანიშნულება: ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ბიუჯეტში გადახდილი ნასყიდობის საგნის საფასური

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა.

3.1. საკუთრების უფლება გამყიდველის მიერ მყიდველს გადაეცემა ამ ხელშეკრულების საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმების შემთხვევაში, ქონების საბოლოო ნასყიდობის საფასურის სრულად დაფარვის შემდგომ, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, ქ. თბილისის მთავრობის 23.09.10წ. №25.20.1202 დადგენილებით და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებისა და ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 4. საპრივატიზებო პირობები

4.1. ნასყიდობის საგანი მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მთავრობის 23.09.10წ. №25.20.1202 დადგენილებით განსაზღვრული შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

4.2. საპრივატიზებო ღირებულების სრულად გადახდა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების საქართველოს პრეზიდენტთან შეთანმებიდან ერთი თვის ვადაში.

4.3. საპრივატიზებო ღირებულების სრულად დაფარვისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ, გადაცემული მიწის ნაკვეთების მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებთან გაერთიანება სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით და შეთანხმებული ქ. თბილისის მირზა შაფის ქუჩის განაშენიანების რეგულირების გეგმის პირობების გათვალისწინებით, მომიჯნავედ არსებული ტერიტორიის განვითარება გონიერულ ვადებში.

მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

5.1 გამყიდველი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულების საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმების შემთხვევაში, ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის დადასტურების შემდგომ, ნასყიდობის საგანზე მყიდველს დაუდასტუროს საკუთრების უფლება შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემის გზით.

5.2. გამყიდველი იღებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში დაუდასტუროს მყიდველს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3. გამყიდველი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული მიწის ნაკვეთები ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის მისი საკუთრება და არის ნივთობრივად და საკუთრების უფლებრივად უნაკლო, არ არის სადავო; იგი არ არის იპოთეკით დატვირთული და დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერებით:
ა) მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.053, განცხადების რეგისტრაცია 882010791107 მომზადების თარიღი 16/09/2010,
ბ) მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.054, განცხადების რეგისტრაცია 882010791120 მომზადების თარიღი 16/09/2010,

5.4. იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდება საკუთრების უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლის მქონე, „გამყიდველი" ვალდებულია თავისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. „გამყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე, თუ ნაკლის გამოსწორება მოითხოვს ნასყიდობის ფასთან შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება მოიშლება და „გამყიდველი" ვალდებულია მყიდველს აუნაზღაუროს ზიანი. თუ მყიდველი არ მოითხოვს ნაკლის გამო ამ ხელშეკრულების მოშლას და არც ნაკლის გამოსწორებას, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება იმ ოდენობით,



რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი. „მყიდველს" არ წარმოეშობა უფლებები ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო, თუ ამ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამ ნაკლის შესახებ.

5.5. მხარეებმა განაცხადეს, რომ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონება ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა და ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის. მყიდველმა მოიწონა ნასყიდობის საგნის ხარისხი.

5.6. მყიდველი იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ქ. თბილისის მთავრობის 23.09.10წ. №25.20.1202 დადგენილებით და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობები და სხვა ვალდებულებები. შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და გამყიდველის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია გამყიდველს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე.

5.7. მყიდველი ვალდებულია, გამყიდველის მოთხოვნისთანავე, ასევე საპრივატიზებო პირობების შესრულების ვადის დადგომისთანავე მათ შესრულებაზე წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია ქონების პირდაპირი მიყიდვის პირობებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

5.8. შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, მყიდველს არა აქვს უფლება, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე, გადაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, მყიდველი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

5.9. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (ვალდებულებათა შესრულების პერიოდში), მყიდველის მიერ შეძენილი ქონების დატვირთვის ან გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება დატვირთოს ან ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოსა და მყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს ქ. თბილისის მთავრობას.

5.10. მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადებში.

5.11. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-6 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

5.12. საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ქ. თბილისის მერიის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

5.13. ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საპრივატიზებო ვალდებულებების, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებებისა, მოხსნის ან/და სხვა შესრულების მიღების, დადასტურების, ასევე, ხელშეკრულების მოშლის საკითხი.

5.14. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, ქ. თბილისის მერიის მიერ განიხილება ხელშეკრულების მოშლის საფუძვლად და გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველს ცალმხრივად ჩამოართვას საკუთრებიდან ამ ხელშეკრულებით გადაცემული ქონება. ამავე დროს, გადახდილი თანხა და შესაძლოდ განხორციელებული ინვესტიცია მყიდველს უკან არ დაუბრუნდება. ასეთ შემთხვევაში გამყიდველს რჩება ზიანის ან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ასლი
114

5.15. მყიდველი ეთანხმება ამ ხელშეკრულების 5.14 პუნქტით გათვალისწინებულ პირობას.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1 საპრივატიზებო პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი).

6.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის ნომერი 200122900; ბანკის კოდი 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773270. გადახდის დანიშნულება: ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად გადახდის ვადის დარღვევისათვის გადასახდელი საურავი.

6.3 ნასყიდობის თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო ნასყიდობის ფასის გადახდის პერიოდში გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება ნასყიდობის საფასურის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.

6.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში (გარდა საპრივატიზებო ღირებულების გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა), ასევე ხელშეკრულების 5.7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ამ ხელშეკრულების თითოეული გვერდი საჭიროებს მხარეთა ხელმოწერას.

7.2. ეს ხელშეკრულება შედგენილია 3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად და ძალაში შედის საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმების (შესაბამისი განკარგულების სახით) შემდგომ.

7.3 ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

7.4. ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, საჭიროა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს, საკუთრების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარედგინოს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება - ამ ხელშეკრულების შეთანხმების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ -
ქონების მართვის სააგენტო

ნინო ოსიყმაშვილი

შპს „აპოლო გ.ს“ წარმომადგენელი

თეა სტურუა



მივიღე 26.11.09-წ.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86113495144809

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

უძრავი ნივთის ნასყიდობა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N090394425

რეგისტრაციის თარიღი

13.08.2009 წ

ასლი

114

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილის ქ. შარტავას ქ 7
ტელეფონი: 37 83 24

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 95 35 71

საქართველო

ორი ათას ცხრა წლის 04 აგვისტოს, მე, ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ტაბიძის ქ.№7. მივლინებული შარტავას ქ.№7-ში (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №114) მომმართეს: ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეული, ქალაქ თბილისის მერიის (თბილისის მთავრობის) სახით ქ.თბილისის მერის მოადგილემ დავით ალავიძემ (05.09.2007წ. №4857/1 ხელშეკრულებაში „გამყიდველად" წოდებული) და მეორე მხრივ შპს „აპოლო გ.ს"–ს წარმოდგენილი სასოგადოების დირექტორის შოთა ევგენიძემ ხელშეკრულებაში „მყიდველად" წოდებულის, რომლებმაც განაცხადეს, რომ სურთ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მხარეების პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ, ნამდვილად: დავით ალავიძემ (დაბ.30.10.1975წ., მცხ.ქ.თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზ. №34, ბ.28, პ/მ №01024021151, №დ1240080 გაცემული სრს ვაკის სამსახურის მიერ 15.01.2009წ.) და შოთა ევგენიძემ (დაბ.19.07.1976წ., მცხ.ქ.თბილისში, თაქთაქიშვილის ქ.№4, ბ.№2, პ/მ №01009003572, №ბ1238637 გაცემული სრს ვაკის სამსახურის მიერ 03.12.2008წ.) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა.

მე შევამოწმე მათ მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი, დავადგინე გარიგების შინაარსი და მხარეებს განვუმარტე: უძრავი ქონების შემძენი, საკუთრების უფლებას იძენს, საჯარო რეესტრში შეძენის რეგისტრაციის შემდეგ, რისთვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრს წარედგინოს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

ამ განცხადების შემდეგ მე წავუკითხე მხარეებს ამ ხელშეკრულების პროექტი. მათ განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება, სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში. შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.



ხელშეკრულება

ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო პირობებით ნასყიდობის შესახებ

„სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის №1-1\1416 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულების, საქართველოს პრეზიდენტის 24.07.09წ. №501 განკარგულებისა და ქ. თბილისის მთავრობის 24.06.09წ. №16.16.555 დადგენილების (ქ. თბილისის მთავრობის 30.06.09წ. №17.38.617 დადგენილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით) საფუძველზე, 2009 წლის ...13..... აგვისტოს ჩვენ ერთ მხრივ, ქ. თბილისის მერია (მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) წარმოდგენილი ქ.თბილისის მერის მოადგილის დავით ალავიძის სახით (შემდგომში გამყიდველად წოდებული) და მეორეს მხრივ — შპს „აპოლო გ.ს" (იურიდიული მის: დიდუბის რაიონი/მირცხულავას ქ. №3ა ბ 69 ქ. №24 წარმოდგენილი საზოგადოების დირექტორის შოთა ევგენიძის /პირადი ნომერი №01009003572/ სახით) (შემდგომში მყიდველად წოდებული) ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების (ნასყიდობის) საგანი

ამ ხელშეკრულების შესაბამისად, გამყიდველი მყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით, საკუთრებაში გადასცემს, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას:

1.1 ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. №24-ის მიმდებარედ არსებულ 316 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.041);
საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, უძრავი ქონების მახასიათებელია: მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.041; განცხადების რეგისტრაცია №882009148363 – 28/05/2009 11:03:15 მომზადების თარიღი 28/05/2009 15:05:34 სარეგისტრაციო ზონა თბილისი 01, სექტორი კრწანისი 18; კვარტალი 04, ნაკვეთი 018/041, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; მიწის დაზუსტებული ფართობი 316 კვ.მ, მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა მირზა შაფი, №24, მიმდებარედ; მესაკუთრე: ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული.

1.2 ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. №44-48-ის მიმდებარედ არსებული 142 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.044);
საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, უძრავი ქონების მახასიათებელია: მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.044; განცხადების რეგისტრაცია №882009148352 – 28/05/2009 11:00:27 მომზადების თარიღი 16/06/2009 17:48:44 სარეგისტრაციო ზონა თბილისი 01, სექტორი კრწანისი 18; კვარტალი 04, ნაკვეთი 018/044, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; მიწის დაზუსტებული ფართობი 142 კვ.მ, მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა მირზა შაფი, №44-48, მიმდებარედ; მესაკუთრე:

ასლი
114

1.3. ქ თბილისში, მირზა შაფის ქ. №46-ის მიმდებარედ არსებული 56 კვმ. მიწის ნაკვეთი (მიწის საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.043);
